

22 016  
138  
1918

საქართველოს  
საბჭოთაო

# საბაქუმი




РАТЦЕР

თბილისი 1918 წ.

№ 1.

საქართველოს მუზეუმი

საქართველოს საბჭოთაო



საქართველოს  
გაზეთების  
კავშირები

საქართველოს  
გაზეთების  
კავშირები

№ 1.

თბილისი 1918 წ.

899.962.1(05)

6-22

6185-7  
444  
442



887  
1070  
910

## შ ი ნ ა ა რ ს ი :

I — სურათი . . . . .	1
II — * * * ლექსი—გ. ქუჩიშვილისა . . . . .	3
III — ნაძვი „ლაშაზო,“ —დაუბეკდავი მოთხრობა ირ. ვედოშვილისა . . . . .	5
IV — სიყრმის სიზმარი—ივ. ელიაშვილისა . . . . .	13
V — ბაყაყის იმედი (ხალხური), ჩაწერილი ლექსად ცალფეხა გიორგი ლომთათიძის მიერ . . . . .	16
VI — მტაცებელი, მწერის მკამელი მცენარეები, ლუნკევიჩიდან—იტა ნაკაშიძისა . . . . .	17
VII — გასართობი: ჩქარა გამოსათქმელი, გამოცანები და რებუსი . . . . .	24



\* \*

(გოგი საათაშვილს)



ამიგონე, მომისმინე,  
ჩემო კარგო გოგი:  
ეცადე არ გაბძრაველო  
უსწავლელთა ჯოგი.

იბეჯითე, იშეპირე  
უველა გაკვეთილი,  
რომ ნაყოფი სჭამო ტკბილი,  
როგორც კარგი სილი.

ჩემო გოგი! ჯერ არ იცნობ  
უბულო ქვეყნას:  
სუსტებს იგი ისე სცელავს,  
როგორც ცელი უნას;

და შენც სუსტი რომ არ გნახოს,  
რომ ეოფნა არ გაგიძწაროს,  
შეასრულე რაც კითხარი:  
დაეწაფე ცოდნის წყაროს.





საქართველოს  
ბიბლიოთეკა

# ნაძვი „ლაგაზო“\*)

(ვუძღვნი ი. ს. გოგებაშვილს).



## I.

**მ**თის ფერდობზე, ძირიდან დაწეებული მწერვალადღე, მშვენიერი ნაძვის ტევა აპართული. ტევა ისე მისდევს ძირიდანვე ძაღლა შეეოლებით, რომ არსად არ მოსჩანს მეტ-ნაკლები, თითქოს მაკრატლით გადაესწორებინათ ნაძვების წვერები. ძაღლიდან რომ დაჭხედოთ, ასე კეკონებათ, თითქოს დაძვებული ბურთიცუკი არ დაეცემა ძირს დედა-მიწასზეო, ისე მიჭკვრიან და მიჭსუტებიან ნაძვები ერთმანეთს ტოტებით. მაგრამ ტევის ქვეშიდან რო გაჭხედოთ, თვითეული ნაძვის ძირს დაინახავთ თოვლის სალინასზე.

ამ ნაძვებში იყო ერთი, რომელიც განსაკუთრებულ ჟურადღეობის ღირსი იყო. ის იდგა ტევის შუა გულში და მისი სიღამასით მოსიბლული დანარჩენი ნაძვები მას გარს შემოჭხეოდნენ. მშვენიერი იყო ის გასაფსულ-საფსულობით, როდესაც ზურმუხ-

\*) ეს მოთხრობა იროდიონის მეუღლემ მარიამმა გადმოსცა ჩვენს რედაქციას; იროდიონის ხელნაწერების გარჩევის დროს ნაზა, დასაბეჭდად დამზადებული \*ნაკადულისთვის\*.

საქართველოს  
საქართველოს

ტით შემოსილი ვაკელებოდა ნიაცს. მას უძღვროდა ბუფი, მას ჩაუფროსილ-ჩაუსტვენდა სოლმე შაშვი და მას ესივარულეობდა მისი ჩრდილით კაცრილებული ირემი. მშვენიერი იყო ის საშთარშიაც, როდესაც წამოისხამდა სოლმე თეთრ თექას და ამუხად დაჭურებდა არემარეს. ეს იყო ნაძვი „ლამაზო“. ეს სახელი ტეემ დაუძახა, და ამ სახელით ეველა ტეის მცხოვრებნი იცნობდნენ და შეჭხაროდნენ.

იდგა, ცოცხლობდა ნაძვი „ლამაზო“, თვით იყო ბედნიერი და სხვანაც აბედნიერებდა თვისი სილამაზით.

## II.

შობის წინა დღე იყო. თოვლს დაეფარა თეთრად მინდორი, ტეე და ველი. სიცვივე ჭბარში მწვავე ნაწერწკლებს ისროდა. მიუხედავად ამისა, მსემ თავი ამოჭყო თუ არა და კადმონანთა ძირს შთის ფერდობს, ტეეში არაჩვეულებრივი მოძრობა და ფაცური შეიქნა. კოდალამ ოცდასუთჯერ ჩაჭკრა ნაძვ „ლამაზოს“ ნისკარტი და ამით შეატეობინა ტეის მცხოვრებლებს, რომ სვალ ქრისტიშობისთვის ოცდა სუთია, მაშასადამე შობის დღე, დღესასწაულს კი დასვედრა უნდოდა თვის შესაფერად.

— ვინ იცის, კეთაევა, იქნებ ვინმე უცხო სტუმარი შეწვიოს. აბა როგორ არ მქონდეს სუფრაზე ერთი კაი დედალი მაინც! — შესწიოდა ქალბატონი მელიკო სიცვივისაგან მხრებ-აბუზულ ფაცვას, რომელსაც ორგან-სამგან მწვერის კბილებისაგან ქათიბის ბეწვი ჭქონდა ამოგლეჯილი და, ცოტა არ იუოს, რცხვენოდა დასეულ ტანისამოსში მელიკოსი, ამიტომ ოდნავ შუა გაუოფილს თაფლა ტუჩს მოუსვენრად ატოკებდა.

— ოღონდაც, ნათლის ჯალბაბო, ოღონდაც. აი მეც სწორედ მაგ დღეში ვარ! — შესწიოდა თავის მხრივ ფაციაც: — დაე-

დივარ, დაეცუნცულე. ამოჭეოუს თუ არა მზე თავს, წამო-  
ვიჭრები ზეზე: მთელი დღე მოსვენება არა მაქვს, მაგრამ სა-  
ღამოთი შინ მაინც მშიერი ვბრუნდები!

— გაჭირდა, გაჭირდა, გეთაუვა. ცხოვრება: აღარც ცოდო-  
მადლია, აღარც შებრალებს; ვის მიჭმართავ, ვის მიადგები  
კარებსე. ამას წინად ერთ საღამოს სოფელში მივიბრინე  
ნაცნობ ქათმებთან. მიველ წუნარად, ფეს-აკრეფით, თავაწია-  
ნად. ის კი იყო შიკ შესვლას ვაპირებდი, და ამ დროს კინა-  
ღამ ზედ არ დამსტა საიდანღაც გააუთრებული ძურია, თა-  
ვისი დაღრენილი ზირით. უი, თავში ქვა კი ვახალე, რო იმან  
მე ვერა დამაკლო რა. კუდი მარჯვნივ გადაუგდე, ის კუდს  
ეცა, და მე მარცხნივ მოვეკურცსლე. დამრჩა შენი ძურია ხასა-  
მშრალი.

— მადლობა დმერთსა, რომ ასე გადარჩენილხარ; მე კი  
კინაღამ სიცოცხლის ფასად დამიჯდა ორიოდ რაღაც ბალა-  
ხის ღერი. მოგესხება—მთის ფერდობები სამთრობით სულ  
ჩამოთოვლილია, დედა-მიწა არა სჩანს. რა მექნა—ჩაველ ქვე-  
ვით. ძირს, ბარში მუდროება მეგულეობდა. მართლაც აქა-იქ  
თოვლი დამდნარიყო და მწვანე შემოდგომის ფალანს ამოეყო  
თავი. ვერც კი მოვასწარ, გეთაუვა, ზირის გატკბანურება და  
ბუნქებში უურმა მეძებარი გამოჩნდა; მას ქორისა მწევარიც  
მოჭევა. უურმა მალე დაეტოვე შორ მანძილზე, მაგრამ ქორი-  
სა კი ისეთ კამარებს აკეთებდა, ასე მეგონა—ელვა მომდევს  
მეთქი. მიერბივარ—მომდევს. აგერ კიდევ წამომეწია, სული  
შემეხუთა შიშისაგან და ამ დროს გამეკრა კიდევ თვისი და-  
ღესილი კბილები, მაგრამ გაუსნლტი რაღაც განგებით და  
ჩემ ბედზე ტეეც ახლო იყო, შევასწარ ტეეში, თუძცა ქურქი  
კი რამდენსამე ალაგას დამასია.

— უი, უი, უი, თავი კი მოუკვდეს ქორისას და აღარ  
დეესწროს მობა-ახალწელს, მე კი მეგონა ხელ-მოკლეო-



ბის გამო ველარ გაგინასლებია მეტი წამოსასხამი, შენ გე  
ნიცვალე!

— რას გვიბრძანებთ, გენაცვა, აბა ზამთარს ისე ტიტვე-  
ლი ხომ არ დაუხვდებოდი. ისე შევიძოხე სასამთროდ, რომ  
შენი მოწონებული. მაგრამ რა გაეწუბა: მტერი რას არ გი-  
ზამს. ლექსიც კი გამოუგონიათ ჩემზე—და ვიღაც იაკობ სი-  
მონისძე გოგებაშვილი უოფილა, აულია და თურმე წიგნიდაც  
კი ჩაუწერია:

„კურდღელო, ნუ სმოვ ენასა,  
ნადარია და ბრალია,  
თორემ მოგიტევ მწვევრებსა,  
ჩემი აღარა ბრალია!“

— სა, სა, სა, სა!—გადინარსარა შელიკომ გულიანად, რო-  
დესაც ფაცამ სიტყვები; „თორემ მოგიტევ მწვევრებსა, ჩემი  
აღარა ბრალია!“ მუქარის კილოთი წარმოსთქვა. არა, კაი  
ლექსი კი არი აი, „თორემ მოგიტევ მწვევრებსა, ჩემი აღარა  
ბრალია“. მამ ვინი ბრალია, თუ იმისი არა, ვის ატეუებს,  
ჰა? ვითომც მე ბრალს ნუ დაძდებთო! ჩემზედაც არი, გენაცვა,  
იმისავე წიგნში გამოთქმული ლექსი; აი, უური დაძიგდე:

„ორშაბათ დილა გათენდა,  
რა ავი დარი დგებო:  
ის ჩვენი წუწკი შელია  
საომრად ემზადებო.  
წავიდა, იქ მცუნცულდა,  
საცა მამალი ჯდებო“.

— უჰ, უჰ, მშვენივრად არი, დმერთმანი, მოწობილი:  
„წავიდა, იქ მცუნცულდა, საცა მამალი ჯდებო...“ არა, იმათ  
რალა იცინან, რო ქათმები შენი დობილები არიან, ჰა?—შე-  
კეითსა თავის მსრვი ფაცია.

— ალბად, რომ იციან, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მწუხინს, როდესაც ჩემისთანა ზატოსან არსებას „წუწკს“ ეძახიან: „ეს ჩვენი წუწკი ძელია საომრად ემზადებაო“... რათა ვარ, თქვენ კენაცვალეთ, წუწკი? ვითომ რაო, რომელ მურიასე ვარ ნაკლები?!

— ეგ ვეველაფერი კარგი, ჩემო კარგო, მაგრამ იცი—რა მოვიანსრე?...

— ვიცი... ვიცი: შენ გინდა ამაღამ ნამძვი „ლამაზოს“— წაუკითხო ლექსი, არაა?

— ჰო, სწორედ რომ ეგ მინდოდა მეთქვა. მე ჩემ ლექსს წავიკითხავ, შენ შენი ლექსი წაიკითხე; სხვებიც, რასაკვირველია, თავისას, და ისეთი სიმშინარულე გვექნება, ისეთი, რომ რაღა გითხრა! სომ ვეველანი შეიკრიბებიან ნამძვი „ლამაზოსთან“, როგორც ბრძანა ბატონმა დავითამ,— შეეკითხა ფაცია ძელიკოს, რადგან დავითას აზრი მისთვის ძირს-დაუშვებელი ძარბალიტი იყო.

— უეჭველად, კენაცვა, უეჭველად! სუეველანი... ასე ბრძანა ბატონმა დავითამ: „ერთიც არაფინ დააკლდესო“! „ქორბუდა“ ირემი, ძველი რუსაძე, მათი კეთილშობილებს ტურიკო, მათი უმძვენიერესობა სოსობი, ჩხიკვი, კაჭკაჭი, ერთი სიტყვით, რაღა ბევრი გაგაგრძელო, გაგიგრძელდეს სიცოცხლე, მთელი სამეფო ჩვენი ტეისა, მთელი ჯარი და ჯამათი; მხოლოდ ვეველამ თვისი წილსასხვედრი ძღვენი უნდა მიართვას ნამძვი „ლამაზოს“. თვითონ ბატონი დავითა გარეულ თაფლს დაგვიზირდა, თქვენც სადმე და როგორმე ზატარა მწკანის თაიგულს იშოვიოთ და ლექსთან ერთად მიართმევთ ნამძვი „ლამაზოს“; მეც ვეცდები შესაფერი ძღვენი მივართვა.

— უჰ, რა სიმშინარულე, რა ცეკვა იქნება, რა კარგი შობა გაგვიოთნდება, შენი ჭირიძე!— შესძახა აღტაცებულმა ფაციამ და სინარულის ნიძნად უკანა ფესებსე შემოწროწიალდა.

— მაშ, მაშ, გენაცვალე, ისეთი ჩარფუხანა ჩაებათ, ჩვენი ჩავარაგრაკოთ ლექსები, რომ მეორე შობამდე აღარ დაგვა-  
ვიწუდეს! ახლა კი, გენაცვა, მშვიდობით, მიმეპურება, კმა  
დიდიან, გადაღმა სოფელში ვაპირებ გადასვლას.

— მშვიდობით, მშვიდობით, ნათლის ჯალაბო, ლექსი არ  
დავიწყოთ, კარგად დაისწავლეთ!— გამოქმედობენ ერთმან-  
ეთს ფაცია და ძელიკო, გადაკოცნეს ერთმანეთი და გაუდგ-  
ნენ თავთავის გზას.

### III

მშენიერი, კამკამა მთვარიანი ღამე იყო. არემარე იდუ-  
მაღ სიჩუქეს მოეცვა. ნიავიც კი არსადიან არ ისმოდა. მაგ-  
რამ სიჩუქე დიდხანს არ გაგრძელებულა და უცნებ მთის ქე-  
დიდან გაისმა საშინელი ღმუილი. ეს იყო ნიშანი „ღამა-  
ზოს“ სტუმრების თავმოყრისა. მკელი რუსხამ ატეობინებდა  
ამხანაგებს, რომ დრო არის ვეწვიოთ მანძინძელსო. მის  
ღმუილზე ტეეში სმაურობა და ფაჩი-ფუჩი გაისმა. დაიძრა  
ნამვისკენ ჯარი და ჯამაბათი, მორთული და მოკაზმული. მალე  
ერთ კორდზე სუეველამ ერთად მოიუარა თავი. აქ გასლდათ  
ბატონი დავით ტორამე, რომელსაც თავზე თეთრი კალმუხის  
ქუდი დაეხურა, ჩიბუსი ზირში გაეკეთებინა, დაბაინსლურად  
ძიმჯღარიყო მუხის ძირში და რაღაცას ბუტბუტებდა: თითქო  
ისიც ლექსს იხეპირებდა. იყო ეელ-მოდერებული ირეპი, რო-  
მელსაც, ნიშნად დღესასწაულისა, გარეული ვარდის ელორტი  
ჩაეგრინა რქებში; იყო ჯიხვი, რომელიც თავისი სიღამაზით  
ჭიბლაგდა მაურებლებს; მას გვერდში ჯვირანი ამოსჯღო-  
მოდა და მთის ამბებს ეკითხებოდა. ცქრილა მველი ხან ერთ  
სტუმარს ეაღერებოდა, ხან მეორეს. იყო ტურაც, მაგრამ ის

მსოლოდ ჩირკვიდან ადევნებდა უკელა ამას თვალ-უურს. ღია დავითის ფესებთან დახოქილიყო, შესცქეროდა წარბში და მის ქება-ხოტბას მოსთქვამდა.

ფრთოსნებში უკელაზე თვალწარმტაცი სოსობი იყო, მაგრამ მას კეკლუცობაში არც კაკაბი ჩამოუგარდებოდა. ოფოფიც თვის ლამაზ საუარცხელს ხან ერთს სთავაზობდა, ხან მეორეს. კანკაჭი და ჩიკვი ერთმანეთს რაღაცას ატუუებდნენ და ორივენი ფიცულობდნენ, რომ ცაძდე მართლები არიან. ერთი სიტყვით—აქ მოვევარ თავი მთლად მთა-ტუის სამეფოს, ნაძვ „ლამაზოს“ დღესასწაულის გადასასდელად.

—ახლა კი დროა!—წარმოთქვა დინჯად დავითამ და ამაღლა უცებ დაწუნარდა. მან კიდევ რაძდენჯერძე გამოუშვა ჰირიდან უალიონის კვამლი; ნელ-ნელა წამოდგა ზესე, გადაჭყვდა ჯარსა და ჯაძაბოს და გასწია წინ. მას მიჭყვუნენ დანარჩენნი, ჩამწკრივებულნი რიგსა და წესზე.

—არ დაგავიწყდეთ: უპირველეს ეოვლისა სამჯერ უნდა შემოუაროთ „ლამაზოს“ გარშემო და შემდეგ რიგ-რიგად უნდა წაიკითხოთ ლექსები!—გასცა დავითამ ბრძანება, როდესაც მიუახლოვდნენ ნაძვნარს. ამაღამ, ნიძნად მორჩილებინა, თავი ძირს დახარა და გასწია ნაძვისაკენ. აჭა, კიდევ მიუახლოვდნენ იმ ადგილს, სადაც „ლამაზო“ იყო აძართული, მაგრამ აქ უცებ გაისმა დავითის სამინელი ღრიალი:

—ვააა... ვაი, ვაი, ჩვენო „ლამაზო“!—ღრიალებდა დავითო და იცემდა ტორებს თავ-პირში. მას დანარჩენებმა მისცეს ბანი და შეიქნა ტეეში სამინელი გლოვის ხარი. ქვითინებდა შველი, კვნესოდა ჯეირანი, ოხრავდა ირემი. ფრთოსანთ სამინელი წრიპინი მორთეს. დღესასწაული უცებ ტირილად და გლოვად შეიცვალა.

— ვაი, ვააა!..— ღრიალებდა დავითი და თან თავს უკან  
 უაბდა მოჭრილი ნაძვის ძირს.

— დამრჩა ლექსი წაუკითხავი!— წუწუნებდა შელიკო.

— მთელი საღამო ვიწყვირებდი!— დასტიროდა ფაცია გა-  
 დამლილ „დედა-ენას“.

იროდიონ ევლოშვილი.





## სიყვარლის სიზმარი

(ნაწილები)



არი ჰქრის, ზუსუნებს, რაღაცას ამბობს. რას? — არ ვიცი. არ მესმის მისი ენა. ენა მოუსვენარი, ხან ნაზი და ტკბილი, ხან მძლავრი და მრისხანე.

ზუსუნებს ქარი და ზუსუნებს მუ-  
დამ სახურავ ქვეშ. იქა აქვს მას მუდამ  
საქმე, იქაა მისი სალაუბო. ნეტავ ვის ებასება აქ იგი?  
ფიქრობ, მე. ასე ფიქრობ იმიტომ, რომ ვოველი მისი სმაუ-  
რობა აღმიძრავს ხოლმე მრავალ მოგონებას. და მეც ჰა-  
სუსსა ვსცემ მის ზუსუნს. სიტუვით კი არა, მოგონებებით.

აი, მის ზუსუნს მივეუავარ შორი დროისაკენ. მე შვიდი-  
რვა წლისა ვიყავი, უდარდელი, ცელქი, ძალხაზი ბიჭუნა, დედ-  
მამისა და უფროს დაძმათა ნებიერი.

ზაფხულია. მაშიდა ჩემი ანუკის ბაღში მრავალი ხე-ნი-  
ლია: ვაშლი, მსხალი, კომში, ზღმარტლი... რამდენიც კინდა,  
სულა და კულა!

ჩვენს ეზოში კი ერთი ძირი კაკლის, ერთი ძირი თუ-  
თისა და ერთიც ლეღვის მეტი არა არის რა.

ჩვენ ღარიბნი ვართ. მაშიდა კი მდიდარია, უშვილო ქვრივი.

დილა ადრიან რომ ქარმა დაიზუსუნა ჩვენი სახლის სურავ ქვეშ, მსწრაფლ გამაღვიძა და მამცნო, თუ რამდენი მსხალი და ვაშლი ჩამოჭეარა მან ძირს მაშიდას ბაღში.

— აბა, ვანოჯან, გასწი მაშიდასთან, მოიძარჯვე შენი ცქვიტი ფეხები, გაჭეარ სელი კალათას და გაეშურე ბაღისაკენ. აჭერიფე სილი, შენც ტკბილად იგეძე და შენიანთაც ზირი გაუსველე. სომ იცი, რომ მაშიდა შენს ნაუარი სილი თქვენთვის არ ენანება,— ჩამძახა ქარმა და მეც, ის იყო, მოვკურცხლე.

მაშიდა ანუკი ლოცვად იდგა სატის წინ. წელზე თავსაფარი შემოერთვა, მარცხენა ხელში დაუჯდომელი ეჭირა და ტუჩების ცმაცუნით ჩუმიდ ლოცულობდა, სოლო მარჯვენით ხშირად ზირჯვარს ისახავდა. ბუსარში სამს კეცზე საჭანურები ვერა და ცეცხლზე იბრაწებოდა. ქრისტეფორე გურული სამოვარს უვლიდა აივანზე და ზირდაუბანელი, ხუჭუჭა თმა-აწეწილი სანტად ისმორებოდა. მზისასარი ასალ თავ-დაბანილი იყო, თავ-ზირ-შეფუთენილი, და ნაუარ სილს გოდორში აწეობდა. სილით დაეურსული ხეები სიძმით მიწასა სწვდე-ბოდნენ და, ქართთ შეშფოთებულნი, ჭდელავენენ.

— ჩემ ბიჭუკას ენაცვალოს მისი მზისასარი. აი, სილიც აკიერიფე, შენ შემოგველოს ჩემი თავი.

— დილა მშვიდობისა, გადაიავ! — მივამხე და ტკბილად ჩაუკოცნე მოსუც მზისასარს დანაოჭებული ტუჩები.

— ჭო, გენაცვალე, ჭო, შენი ჭირი მზისასარს, მოდი, ჩემო მალსაზო, ჩემო პტრედო, ჩემო ალერსიანო ბიჭუკავ!

— ვანიკო, ვანო! სადა ხარ, ბიჭო, სად გამექეცი, შე სკვინჩა შენა. საჭანური მაინც ჩაცუცნე, თუ ჩაი არ გინდა, ბიჭო,— შემომესმა მაშიდაჩემის სმა.

— მოვდივარ, მაშიდავ, მოვდივარ მეთქი, — მივაძახე და ერთ წამში მაშიდას ვესუტებოდი გულში.

— აი, გემრიელი ცხელ-ცხელი საჭაზურები. აკერა ძალზე დამტკებარი ჩაი. აკერ გადია შვისსახარიც ხილით სავსე გოდრით. აკერ ქრისტეფორე გურული სახედარსა ჰკასმავეს ხილის ბაზარზე გასატანად. აკერ ციცაც ტუჩების ცმაცუნით თავის ულუფის მოლოდინში შორი-ახლოს კრუტუნებს.

ქარი სომ თავისას არ იძლის: ჰქრის და ჰზუზუნებს.

— გოგო, გოგო, კისკისაო, აქ ჩამოდი წელის ჰირსაო, ოდელია, ნანინაა. ღვინოს გასძევე კულითაო, გაგახარებ კულითაო, დელა, ოდელია, ნანინა, ჰო! — გაიძახის ქრისტეფორე და უჯავრდება ხილით დატვირთულ სახედარს, რომელიც თავქვე მიექანება მწვანეუვაკილას ძაღლობიდან ბაზრისაკენ. მცე აქედან მოძახილს ვეუბნები ქარისაგან ამოტანილ სიმღერას და შინისაკენ მივეშურები ხილით სავსე კალბათით სელში.

ივანე ელიაშვილი.







## ბაყაყის იმედი

(ხალხური)

დაბურულ ტყეში სის პირას გაშირიბინა თაკეპო  
და თვალნი მისნი მიიჭურა შემდეგმა სანახავჲო:  
სის პირას დიდს ფულუროში გაბღინმულიუო ბაყაყი  
და თავისებურ ჭანგებზე გაჭქონდა თვისი „უბა-უბანი!..“  
გვერდით ეუბრა ნაუოფი ტუის თსილისა და წაბლისა...  
უცრად ბაყაყის ურებს სიტუვა მოესმა თაკვისა:  
— მოუვარეუ, ეგ ტუის ნაუოფი მომეცი... შენ რად გინდაო?..  
ასეთნი სილა-სულანი ზამთრისთვის საგულად მინდაო...  
— გინდა შენ?— ჭკითხა ბაყაყმა:— ჩვენც გვიდგას ზირში სულიო...  
მე სსვებინათვის როდი მაქვს ესენი შენასულიო!..  
— ბიჭოს!— გაჭკვირდა თაკუნა:— შენ რად მოისმარ მაგასო!  
ვინ დაგიმტვრევს და დაგიჩხევს,— შევამღებინებს ჭამასო?..  
— ვინ დაგიმტვრევს და?.. ველი მე კბილების ამოსვლასო.  
მაშინ მე თვითონ დავამტვრევ მაგათ და ბევრსაც სსვასო.  
მოშორდა ბაყაყს თაკუნა ამ ამბით განაკვირვები...  
ბაყაყი ახლაც ზის, ელის, რომ ამოუვა კბილები...

ცალფეხა გიორგი ლომთათიძე.





## მტაცებელი, მწერის მჭამელი მცენარეები

(ლუნკევიჩიდან)



მტაცებელი, მწერის მჭამელი მცენარეო! საკვირველებაა სწორედ, ეს რა გვესმის?—იტყვიან თქვენ, როცა ამ წერილის სათაურს წაიკითხავთ:—ვის გაუგონია, რომ მცენარე ბუხებს იჭერდეს და სჭამდეს? ან რითი სჭამს, როცა მას არც ჰარი, არც კბილები სორცის საღეჭავად არ მოეპოვება?

მართლს ამბობთ, ჩემო მკითხველებო, მაგრამ მეცა ვარ მართალი:—არიან ქვეყანაზე ასეთი უცნაური მცენარეები. ბუნებისათვის შეუძლებელი არაფერია: ის სასწაულთ-მოქმედია. თქვენ უთუოდ სასწაულებელში ბევრჯერ გაგიგონიათ ამბავი მწერის და სორცის მჭამელი ოთხფეხების და ფრინველების შესახებ, მცენარეზე კი არაფერი უთქვამთ ამისთანა; აბა ახლა უური დამიგდეთ და თქვენი ცოდნა შეივსეთ ამ მოკლე საუბრით.

წრდილო-ამერიკაში, ჭაობიან ადგილებზე ხარობს ერთ-  
საკვირველი მცენარე, რომელსაც სახელად „სარაცენია“ ჰქვია;  
საკვირველი ფოთლები აქვს ამ მცენარეს: თვითოეული ფო-  
თოლი წარმოადგენს ზარკს, ბოლოში ვიწროს, შუაში ტიკო-



სარაცენია

ვით კაბერილს; ზევით ზარკს ზირი აქვს, ამ ზირთან შვეანე,  
აღისფერ-ძარღვებიანი ფოთოლი აკრავს. გარეგნობით ფოთო-  
ლი ფინჯანს ჰგავს; შიგ იკრებება ნაშის და წვიმის წვეთები.  
აქიდან წვეთები ზარკში ჩადიან. ამ ზარკში მუდამ წუალია, რაც  
უნდა სანგრძლივი გვალვა იეოს. ფოთოლი ბუხის დასაჭერი  
ძანება. მწერი დაინახავს თუ არა წითელ, ლამაზ ფოთოლს,  
მიეშურება მისკენ იმ იმედით, რომ ტკბილი წვეთით ზირი  
ჩაიტკბარუნოს. იმედი არ უცრუვდება. ამ ასირებულ მცენარეს  
თაფლის წვეთები აქვს შენახული. საბრალო მწერი ეწაფება  
ტკბილ წვეთს, ჩადის ზარკში უფრო ღრმად, რადგან იქ მეტი  
თაფლი ეგულება. ზარკის შიგნით კედლები ისეთი მოლიძუ-  
ლია, რომ მწერს ფესები უსხლტება და შეკროვილ წუალში  
ვარდება.

საწუალი ბუხი! ძალიან ცდილობს ამოძვრეს ზევით, მაგ-  
რამ ამოდ: საქმე იმაშია, რომ ფოთოლს ეკლიანი ბუსუსები

ასხია; ამ ბუსუსებს წვერები ქვევით აქვთ დაშვებული, ასე რომ უკან დაბრუნებულ მწერს წინ ეღობება ეკლიანი ღობე და არ უშვებს სვეით. მწერი იქ რჩება და წუაღში იღრჩობა.

—რა ხდება შემდეგ?— იკითხავთ თქვენ:— მცენარეს სომ არ შეუჭამია, ბუსი წუაღში დაიდრწოო. აი რა ხდება ასლა:— მკვდარი ბუსი ღნება, იხსნება წუაღში და წუაღთან ერთად გაუჯდება მცენარის ფოთოლს, აქედან წვენი გადადის ღეროში, ანუ ტანში, და ჰკვებავს მცენარეს.



აი მეორე უცხო მცენარე. აბა კარგად დააკვირდით და შეადარეთ, წაგავს რითიმე ჩვენი ცაცხვის ან მუნის ფოთოლი ამას? სრულებით არაფერი მსგავსება არ არის მათ შორის. ეოველი ფოთოლი, თქვენ უთუოდ კარგად იცით, შესდგება ორი ნაწილისაგან, ერთი—მოკრძობა, რომელსაც ფოთლის „ღერო“ ჰქვია, მეორე კი—ბრტყელი ნაწილი, რომელსაც ჩვენ „ფოთოლს“ ვეძახით. ეველა მცენარეებს ამ ნაწილებისაგან შემდგარი ფოთლები აქვთ. ამას შესედეტ—როგორია: ფოთლის ღერო გავრძელებულა, გაბერილა; შეკვიძლია მიღს მივამსგავსოთ. ან უკეთესი იქნება, თუ ძაბრს შევადარებთ; თავში ფართოა, შუაზე კი ვიწრო; თავთან ანუ ზირთან თითო ფოთო-

ლი აზის; ერთს ფოთოლი ქვეით აქვს დაწვეული და თქვენს ბოლოს ჰგავს, მეორეს—ზევით აქვს აშვერილი და ფინჯანს ემსგავსება. ამ მილში შიგნით წვალი დგას; კედლები მოფენილია ეკლიანი ბუსუსებით, რომელთაც წვეტები ქვემოთკენ აქვთ მოქცეული, როგორც „სარბაცენიას“. მილის ჰორზე რამდენიმე თაფლის წვეთია; ეს წვეთები და მასთან მშვენივრად მორთულ-მოკახმული სსუა-და-სსუა ფერადი ფოთლები იზიდავენ თავისკენ ბუს-ჰეპლებს და მწერებს. მოტუებული მწერი მიეშურება ცბიერ ევაჯილისკენ, ეწაფება თაფლს, ვარდება წვალში და იღუპება, რადგან უკან დაბრუნება არ შეუძლია. შემდეგ თქვენ იცით—რა ხდება: მწერი ღუპება, იხსნება წვალში და შედის ფოთლების სსეულში; იქიდან გადადის მთელი მცენარის ტანში და ჰკეუბავს მას.

დამწალი ცხოველებით და მწერებით იკეუება აგრეთვე ერთი საუცხოო მცენარე, რომელსაც სახელად ეწოდება „ბუშტი“,



ბუშტი

რადგან იგი ძალიან წააგავს ბუშტს. ეს მცენარე ცხოვრობს წვალში—ტბებსა, მდინარეებსა და გუბეებში. ძირი ანუ ფესვი მცენარეს არა აქვს; ის გამსლართულია წვრილ-ტოტებიანი

ღეროთი წუბლზე; ევავილობის დროს ამ ღეროზე აიძარცვება ისარივით სწორი და წვრილი ულორტი, რომლის წვეროში გადაიშლება ევავილი. ღეროზე ფოთლებს გარდა ბლომად ასხია ჰატარა, მუსუდოს მარცვლის ტოლა მწვანე ბუშტები; თვითეული ბუშტი წარმოადგენს წელის წვრილ ცსოველების დასაჭერ მასეს. აი როგორ არის ეს უცნაური მცენარე მოწვობილი: ის ბუშტი ღეროზე მიკრულია წვრილი ულორტით, მეორე მხრით კი ბუშტს აქვს ჰატარა ნახვრეტი, ჰირის მსგავსი. ირგვლივ ამ ნახვრეტს ასხია ჯაგარის მსგავსი ულვაშები; ნახვრეტი დანსურულია ჰატარა დარაბით; ეს დარაბი, როცა რამე მიეკარება, იღება გარედან შიკნით.



მაგ

ეს მცენარე ირჩევს ისეთ ადგილს საცხოვრებლად, სადაც ბლომად ცსოვრობენ ჰაწია ცსოველები: კოლოები, მატლები, ჭიები, ჰაწია კიბოები, ახლად გამოჩეკილი თევზები და სსვ. ამ ჰატარაებს ძრიელ უეკართ ფუსფუსი ბუშტთან მცენარის ღეროებსა და ფოთლებში. რა იზიდავს ამათ, განსაკუთბია: უთუოდ ზოგს უეკარს დასვენება მცენარის ჯაგარის ულვაშებში, ზოგი ეძალება მტერს, მერბის საჩქაროდ, რომ დაიძალოს ბუშტში, სხვები მოდიან, რომ იქ თავისთვის რამე საკბილო მოსძებნონ. ეველა ამ ცსოველების ბოლო ერთი და იგივეა: ისინი სდებიან მსხვერპლი ამ მცენარისა. მიადგება თუ არა ცსოველი „ბუშტის“ კარებს, დარაბი იღება; შედის თუ არა შივ, მაშინვე იხურება. ბევრს ცდილობს ცსოველი, რომ თავი დაახწიოს ამ უცნაურ სახეობილეს, მაგ

რამ ამოად! დარბობი შიგნიდან იხურება და ცდა ტუფანად ხაუელის. ცხოველი იქ კედება, ღებება, შეესრუტება „ბუძტის“ კედლებს და ამნაირად ჰკეუბავს ამ მცენარეს.

ბევრია ამისთანა მცენარეები, რომლებიც მწერის შმოვრით იკეუბებიან. მაგრამ ისეთებიც არიან, რომლებიც სწვაგვარად სასრლოობენ მწერებით. არის ერთი მცენარე. მას „დოქს“ ეძახიან, რადგან დოქის მზგავსია. მცენარის ფოთოლის ღერო ბოლოში გაბერილია, დოქის მუცელივით, ზირი გადაშლილი აქვს ბადიასავით; ზირზე წვეტანნი ბუსუსები ასსია. ესენიც ქვევით იცქირებიან. ზევით ბადიას სასურავად ფოთოლი აქვს. ამ მცენარეს „ნეპენტესი“ ეწოდება. ფოთლები სკამოდ დიდები არიან. აზიამი, ბორნეოს კუნძულზე ხარობს „ნეპენტესის“ ერთი ჯიში, რომლის ბადია ფოთლებს ათი-თორმეტი გოჯი სიგრძე აქვთ; ზირს კი თითქმის სამიოთხი გოჯი სიგანე ექნება. ამბობენ, რომ ჰატარა ჩიტუნები ხშირად ვარდებიან ამ დოქებში, რადგან იციან, რომ იქ მწერები ჩადიან. მცენარე ბრიუვი არ არის, რომ თავისი სასრლო სწვას დაუთმოს. როგორც კი მწერი ჩაეშეება დოქში, იმ წამსვე დაეხურება სასურავი და მწერი რჩება დატევევებული ორმოში, რომლის ძირში მუდამ დგას ერთნაირი მჯავე სითხე. ამ სითხეში მაშინვე ინელება მწერი, სწორედ ისე, როგორც ჩვენ კუჭში—ხორცი, კუჭის მჯავე წვენის წუხლობით.

საკვირველი აი რა არის ამ მცენარეში: როცა ჩვენს კუჭში 2-3 ღუკმა საჭმელი ჩადის, კუჭის კედლები გამოხცემენ წვენს საჭმლის მოსანელებლად. სწორედ ამგვარად სწარმოებს საქმე ამ მცენარის ბადია-ფოთოლში: როცა შიგ მწერი არ არის, წვენი იქ ცოტა დგას; როგორც კი მწერი შიგ ჩავარდება, ბადიის კედლებიდან იწეებს დენას მჯავე სითხე, რომელიც მაშინვე ჰკლავს მწერს; მისი უველა რბილი ნაწილები

ისწნებიან სითხეში და მოხარშულ-მონელებულნი გაიჟონებიან ფოთლებში; აქედან გადადიან მცენარის ღეროში და ჰქევავენ მას.




ნებენტესი

უველა „ნებენტესებს“ ასეთი დიდი ფოთლები არა აქვთ. აქ დოქები უფრო ჰატარები არიან და სსვანაირად არიან დაკიდებულნი გრძელ ღეროებსზე. თითოეული ღერო განიერი და ნამდვილ ფოთოლს წაბკავს, შემდეგ გრძელდება და თოკივით იკრინება; თოკის ბოლოში ჰატარა დოქი აბია თავსახურავით. ბევრი ამისთანა დოქები ასცია ამ მცენარეს უოველ მსრით; უველა დოქებში გროვდება და ინელება საჭმელი მცენარისათვის. ეს არის მათი დანიშნულება.

იგა ნაკაშიძე

(დასასრული იქნება)







(ჩქარა გამოსათქმელები და გამოცანები გურიაში ჩაწერილი ცალფეხა გიორგი ლომთათიძის მიერ).

- 1) კაპეიკი გაკაპეიკებულა.
- 2) თეთრი თხა, თეთრი თიკანი თეთრად გავათხათიკანე.

გამოცანები:

- 1) დაჰკეცე ფულის ოდენა.  
გაჰშალე ქვეულის ოდენა.
- 2) გადმოჰდგებოდნი, რომ გჰირდებოდნი,  
გესტუმრებოდნი რად არ იცოდნი.

## რეზუსი

(წარმოდგენილი ამბაკო ბარულაძის მიერ)



1'

„



100,

10,

„



ს

კ



გ





# მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის.

დასურათებული საშემავილო შურნალი

## წელიწადი მეოთხმეტე. „**ნაკადული**“ წელიწადი მეოთხმეტე.

შურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით

საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით

მცირე-წლოვანთა და მოზრდილთათვის.

თუ გარემოებამ ხელი არ შეუშალა რედაქციას, ეცდება მცირე-წლოვანთათვის წინანდელივით **ორი წიგნი** გამოსცეს თვეში და მოზრდილთათვის—**ერთი წიგნი**; წინააღმდეგ შემთხვევაში კი გამოიცემა თვეში ერთი წიგნი მცირე-წლოვანთათვის, და ერთი წიგნი—მოზრდილთათვის.

ფსიკურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—12 მან. ნახევარი წლით—7 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის—7 მან. მოზრდილთათვის—7 მან. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

რედაქციაში არის გახული წლის კომპლექტები.

### ხელის მოწერა მიიღება

**თბილისში**— „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пр. №8. შემოსასვლელი—დავითის ქუჩიდან, № 2., წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა; **ქუთაისში**—ისიდორე კვიციანიძისთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **ფოთში**—ლუდმილე მეგრელიძისთან. **ბათუმში**—ტროფიმ ინასარიძისთან, ფოსტაში, ტ. სამსონ ყაზაიშვილთან—ქალაქის გამგეობაში. **თელავში**—ვანო ჰაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძისთან. **ბაქოში**—მეთოდე კაკაბაძისთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან ტ. ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ი. წერეთელთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭავაძისთან. **მიხაილოვოში**—გიორგი ნაკაშიძისთან. **ოზურგეთში**—სალომე ზუნდაძისთან, **ლანჩხუთში**—მასწავლებელ ჯუღელთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე  
გამომცემელი მ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.